საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

17 დეკემბერი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

მოსამართლე — მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

დისციპლინური საქმე №27/18

-- -- 2018 წლის 05 თებერვლის №-- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 18 ივლისის №27/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2018 წლის 02 თებერვალს პროცესზე მოსამართლე -- -- მიაყენა შეურაცხყოფა, მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა დაცინვას, მასხარად აგდებას, მიკერძოებას, დააშინა, რომ გააძევებდა, დააჯარიმებდა და დააპატიმრებდა, მიმართავდა უხეშად, ხელს ურტყამდა მაგიდას, უწოდა უცოდინარი, ეღიმებოდა, რაზეც მასთან ერთად მყოფმა ბებიამაც უთხრა თუ რა აცინებდა, რაზეც მოსამართლემ უთხრა, რომ აქ არავის მოუწვევიხარო. -- -- თქმით, მთელ მე-6 სართულზე ისმობდა ყვირილი და ხმაური.

-- -- საჩივარში ასევე აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- დამალა საჯარო რეესტრის 2017 წლის 11 დეკემბრის №-- დოკუმენტი, დაარღვია მხარეებს შორის შეჯიბრებითობა და შეუზღუდა დრო მთავარ სხდომაზე პოზიციის დასაფიქსირებლად.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- 2017 წლის 18 დეკემბერს მიმართა სარჩელით -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და ქ. -- მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების აღიარების კომისიის მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე.

სასარჩელო მოთხოვნა უკავშირდებოდა შემდეგ გარემოებებს: - -- -- 2017 წლის 08 მაისს მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცენტრალიზებულ სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა ქ. --, -- გამზირზე №---ს მიმდებარედ განაშენიანებულ მიწის ნაკვეთზე სახელმწიფო პროექტის ფარგლებში საკუთრების უფლების რეგისტრაცია. საკუთრების/მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის გამო, ცენტრალიზებულმა სარეგისტრაციო სამსახურმა შუამდგომლობა და -- -- განცხადება გადააგზავნა -- -- მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების აღიარების კომისიაში, საიდან მიღებული უარის საფუძველზეც (№--, 04/09/2017), მიიღო გადაწყვეტილება რეგისტრაციზე უარის თქმის შესახებ (18/09/2017). -- -- აღნიშნული უარი გაასაჩივრა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, რის დაკამყოფილებაზეც, 2017 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ეთქვა უარი. საჯარო რეესტრის 2017 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება გაასაჩივრა -- -- სასამართლოში.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2017 წლის 29 დეკემბრის განჩინებით, საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2018 წლის 02 თებერვალს.

მოსარჩელე -- -- სარჩელი და თანდართული მასალები სასამართლომ მოპასუხეებს გაუგზავნა 2018 წლის 12 იანვარს.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ შესაგებელი სასამართლოს წარუდგინა 2018 წლის 26 იანვარს, სადაც აღნიშნავდა, რომ მოსარჩელეს გაშვებული ჰქონდა გასაჩივრების ერთთვიანი ვადა.

-- -- შესაგებელი და ადმინისტრაციული წარმოების მასალები გაეგზავნა 2018 წლის 29 იანვარს, რაც ჩაბარდა 2018 წლის 01 თებერვალს.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- მიერ 2018 წლის 02 თებერვალს მიღებული განჩინებით, -- -- სარჩელზე შეწყდა ადმინისტრაციული საქმის წარმოება დაუშვებლობის გამო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის დადგენილი ერთთვიანი ვადის დარღვევის გამო. ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი -- -- ჩაბარდა 2017 წლის 24 ოქტომბერს, ხოლო სარჩელით

სასამართლოს მიმართა 2017 წლის 18 დეკემბერს.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის განჩინებით, -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 02 თებერვლის განჩინებაზე -- -- კერძო საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული.

2018 წლის 02 თებერვლის სასამართლო სხდომის აუდიო და ვიდეო ჩანაწერების მიხედვით, მოსამართლე -- -- სხდომის მიმდინარეობის დროს რამდენჯერმე აუწია ხმის ტონს, როდესაც პარალელურ რეჟიმში დაიწყო -- -- საუბარი, თუმცა უხეში და შეურაცხმყოფელი მიმართვები ან სხვაგვარი მოქმედება არ დაფიქსირებულა.

საჩივრის ავტორის მიერ მითითებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 11 დეკემბრის №-- წერილი დაცულია საქმის მასალებში.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მოსამართლის მხრიდან ეთიკური ნორმების დარღვევის საკითხის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ-ერთი დისციპლინური გადაცდომის სახეს წარმოადგენს სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევა.

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-9 მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლო წესრიგის დაცვა, იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისაგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ. ამასთან, ბანგალორის პრინციპების 6.6 პუნქტის თანახმად მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უწევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით. მოსამართლემ მსგავსი ქცევა უნდა მოსთხოვოს მხარეთა წარმომადგენლებს, სასამართლო პერსონალს და

სხვებს, რომლებიც ექვემდებარებიან მოსამართლის ზეგავლენას, ხელმძღვანელობას ან კონტროლს.

ასევე, მეტად საინტერესოა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის #3 დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

განსახილველ საქმეზე, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ 2018 წლის 02 თებერვლის წინასასამართლო სხდომის დეტალური გაანალიზება შესაძლებელი გახდა აღნიშნული სხდომის აუდიო და ვიდეო ჩანაწერის საშუალებით, რომელშიც ზედმიწევნით კარგად ისმის მთელი პროცესის მიმდინარეობა.

2018 წლის 02 თებერვლის სხდომის აუდიო და ვიდეო ჩანაწერის დეტალურად გაცნობის შედეგად, მოსამართლე სხდომას წარმართავდა საპროცესო ნორმების დაცვით, აგრეთვე მარტივი აღსაქმელია, რომ მოსამართლე -- -- მიმართვები და ხმამაღალი ტონი მხარის პარალელურად საუბრისას, ემსახურებოდა პროცესის ეკონომიურად წარმართვას და საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილებას, შესაბამისად, მისი მხრიდან -- -- მიმართ არაკორექტული ან არაეთიკური მიმართვის ფაქტი ან უხეში დამოკიდებულება (აგრესია) არ გამოვლენილა.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.
საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- - მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტითა და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №27/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი